



## საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლა სურსათის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

სურსათის ტექნოლოგია

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი

### სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 ECTS

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიული ცოდნა სურსათის წარმოებისა და შენახვის ზოგად საფუძვლებზე, შეუქმნას წარმოდგენა სასურსათო ტექნოლოგიების კვლევების როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, აგრეთვე, სურსათის უვნებლობის ეროვნულ/საერთაშორისო მარეგულირებელ დოკუმენტაციებსა და სტანდარტებზე. გამოუმუშაოს სურსათის ტექნოლოგიის დარგში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები.

პროგრამა ასევე ისახავს მიზნად როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის პრომითი ბაზრებისათვის სურსათის მრეწველობის სპეციალისტების მომზადებას.

## დასაქმების სფეროები

სურსათის ტექნოლოგიის სპეციალობით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების დასაქმების სფერო იქნება:

- სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები
- სურსათის მრეწველობის საწარმოები
- საკვებდანამატების/სურსათის მომწოდებელი კომპანიები
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები
- სურსათის ხარისხის/უვნებლობის მაკონტროლებელი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო პროექტები
- მცირე ფერმერული მეურნეობები
- სასურსათო სუპერმარკეტები/კვების ობიექტები
- შეუძლია თავად გახდეს დამსაქმებელი / შექმნას საკუთარი საკონსულტაციო

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სურსათის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/6 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის თანახმად:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული).

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/6 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

## პროგრამის სწავლის შედეგები

სურსათის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებული:

1. იაზრებს თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.
2. მიმოიხილავს სასურსათო ნედლეულის, ინგრედიენტების, პროდუქტის შემადგენლობას, თვისებებს და მათ გავლენას წარმოების პროცესებზე, პროდუქტის უვნებლობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.
3. აღწერს სურსათის შენახვის, ტრანსპორტირების, წარმოებისა და გადამუშავების დროს მიმდინარე პროცესებს, წარმოების პრინციპებს, ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო პარამეტრებსა და ტექნოლოგიურ სქემებს.
4. იცნობს სურსათის წარმოების ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, მათ ტექნიკურ მახასიათებლებს და მუშაობის პრინციპებს, სანარმოს დაპროექტების საფუძველს.
5. იცნობს ეროვნული და საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტებისა და სტანდარტების პრინციპებს და მათ როლს სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაში.
6. იყენებს ანალიზის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს სურსათის და მისი შემადგენელი კომპონენტების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ხარისხობრივი პარამეტრების განსასაზღვრად.
7. დამოუკიდებლად წარმართავს სურსათის წარმოების პროცესის საკვანძო ეტაპებს.
8. აანალიზებს სურსათის უვნებლობასთან და/ან წარმოების პროცესთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს და მათი გადაჭრის გზებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
9. არჩევს სურსათის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიურ მოწყობილობებს (მანქანა-აპარატებს) ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო პარამეტრების მიხედვით.
10. არჩევს ნედლეულის/პროდუქციის შენახვისათვის საჭირო პარამეტრებს და მათი უზრუნველყოფისათვის საჭირო გარემო პირობებსა და მოწყობილობებს.
11. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შესრულებულ კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს წარადგენს ზეპირი და/ან წერილობითი სახით.
12. საქმიანობს პროფესიული ღირებულებების, ეთიკური და მორალურ პრინციპების დაცვით.
13. გვემავს სწავლის შემდგომ ეტაპებს პროფესიული განვითარებისათვის.

## სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. სურსათისა ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ვერბალური მეთოდი
- ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი
- წერიტი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- ლაბორატორიული მეცადინეობები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- თანამშრომლობითი სწავლება
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში
- შემთხვევების შესწავლა
- პროექტი

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორცაა: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები განწერილია სილაბუსებში.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მონვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა
- (C) კარგი – 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

## სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება
- სურსათის ტექნოლოგიის ზოგადი განათლება
- სურსათის ტექნოლოგიის საბაზო განათლება
- სურსათის ტექნოლოგიის ძირითადი განათლება
- არჩევითი საგნები

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

## ადამიანური და მატერიალური რესურსები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მონვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.